ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

მცირე წლოვანთათვის

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1 ნაკადული 139
2 ზაქარას ოცნება . . . 140
3 დედის გული 144
4 მგელი 150
5 წერილი ფუფალასთან . . 152
6 ვირი და ბეითალი . . . 155
7 ჩხუბის შემდეგ . . . 157
8 ნარევი: პატარა მაწანწალების ბალი ნიუ-იორკში . , . 164
9 სახალისო სამუშაო და გასართობი: ა) ზრდილობიანი თაგვი, ბ) ბეჭედი და ბამბის ძაფი, გ) ქილატინის ფარნები, დ) სახუმარო . 165
10 პატარა მკითხველის წერილები . 168

№ VI

ი ა ნ ვ ა რ ი

1905

ტფილისი
ილექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა
1905

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою 17-го февраля 1905 г. Тифлисъ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული



ოჩუხჩუხებს ნაკადული,
მოჩხრიალებს ტკბილი წყარო;
თან მოჰყვება გაზაფხული
საამური, სანეტარო!

გესმით, ყმანო, ხმა საამო
მოკისკისე ნაკადულის?
ხმა მწყურვალთა სანუგეშო,
ხმა დამტკბობი სულის, გულის?

იგი წინამორბედია,
რომ ზამთრისგან დაჩაგრული
ანუგეშოს და ახაროს:
„ახლოს არის გაზაფხული!“

კმარა, რაც ჩვენ ზამთრის სუსხში
მწუხარების ცრემლი ვღვარეთ...
თქვენ კი, ერმანო, ინუგეშეთ,
თქვენ მაინცა გაიხარეთ!

შემოსძახეთ ტაშის ცემით,
ვაშა, ვაშა ნაკადულსა,
გაუმარჯოს მჩქეფარ ზვირთებს
და მომავალ გაზაფხულსა!

დარია ხუნდაძისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარას ოცნება

(პატარა მოთხრობა)



შვენიერი მზიანი დღე იყო. მოწმენდილ-მოკამკამებული ცა ისე ჰბჭუურებდა დედამიწას, თითქო დედა უალერსებს საყვარელს შვილსაო. მაისი დაწყებული იყო. დიდ კაკლის ქვეშ ჰატარა ბიჭს შეეფარებინა თავი და დაბურებულ მცენარეთაგან მორთულ მინდორს გადაჰყურებდა: გაცხელებულ მზის სხივებს დაძალვოდა ჩრდილში და ოცნებისთვის მიეცა თავი. ბუნებაც ჰატივსა სცემდა თავის ჰატარა ქმნილებას და მდუმარებდა. ზაქა ფეხ გაშლილი იჯდა; ხელში ჰატარა შოლტი ეჭირა და დრო გამოშვებით ატკაცუნებდა. ჰატარა ფეხის გულები დამსკდარი ჰქონდა ბევრის სირბილისაგან. ჰატარა მოგვალებული წვივები მოკლე შარვალს ვერ დაეფარა და შავად ჰქონდა მზისაგან შემწვარი. მოხდენილი მოღერებული კისერი კოხტად ამართულიო სწორე და ჯერ მუშაობისაგან მოუდრეკელ ბეჭებზედ. ლამაზი, მზისაგან გაწითლებული, სახე შემკული ჰქონდა შავი ლაბლაბა თმით და გიშერივით შავის თვალ-

წარბით. ლამაზი ბაწაწინა ტუჩები ხან-და-ხან წუნარად-ენძრეოდნენ, თითქო რაღაცას ტუტუნებენო.

დიად, ძალიან ფიქრში იყო გართული ბატარა ბაქა, თუმცა არცკი ეეურებოდა, რასა ფიქრობდა, რასა ნატრობდა ბატარა ბაქარა.—„ობოლი ხარო, მეუბნებიან ჩემი ამხანაგები. დედაც მეტეჩის ხოლმე ამასა... ნეტა რად დავობლდი? დიდედა ამბობს, შენი უბედური მამა ხე-ტეზედ მუშაობდა; წუალდიდობას ხეები მოჰქონდათ, ერთი ხე უცბად დაეჯახა მამაშენს და წუალში ჩააურეუმელავა; კინალამ იქვე დაიხრჩო, მაგრამ ამხანაგებმა უშველეს, მოიეუანეს სახლში და ერთი თვე ვეღარ იცოცხლა, მოკვდაო. ნეტა, რად მოკვდა? ან რა არის ის სიკვდილი! მე რომ დიდი გავიზრდები, როდი წავალ ხის საზიდად; მე გუთნის-დედა ვიქნები... ნეტა, რა არის ეს სიკვდილი? არა, მე გუთანი არ მინდა: გუშინ ბატონიანთ კარზედ გამოვიარე, ციკნები მოძიდიოდა ტეიდან, ბატონიანთ ბატარა ბიჭები ფანჯარასთან ისხდნენ და რაღაცას ჩასცქეროდნენ. შინ

რომ მოვედი, დედასა ვკითხე, რას ჩასცქეროდნენ მეთქი? დე-დამ ყური არ მიგდო. ეჩქარებოდა, ძროხა უნდა მოეწველოთ. ნეტა რად უნდა რძე? სულ მღვდლიანთ უზიდავს, ხან-და-ხან მარტო მაროს დაუსხამს სოლმე ჯამზედ; მე კი არ მაჭმევს, შენ დიდი ხარ, მაგ რძეში მე ფულს მომცემენ და ხარჯს გა-დავიხდიო. ხარჯი რადა არის, ნეტა? მერე დიდედას ვკითხე, რას ჩაჭყურებენ მეთქი. იმან მითხრა: „ისინი უთუოდ წიგნსა სწავლობენო“. რატომ მეკი არა ვსწავლობ-მეთქი? „შვილო, შენ ხომ ბატონის შვილი არა ხარო“, მითხრა. არა, მეც უნდა ვისწავლო წიგნი, მაგრამ როგორ?“ აქ ზაქამ შუბლი შეიჭმუხვნა, თითქო რაღაც მნელმა და მიუხვედრავმა აზრმა გაურბინა ბატარა თავში; მერე ოცნებას მისცა თავი და ტკბილად გაიღიმა. „მე ხომ ვიცი, რა კეთილია ჩვენი ბატონი, წავალ და შევეხვეწები, წიგნი მასწავლოს... ან მღვდელსა, მაგრამ იმას ჩემთვის სადა სცალიან? რასაც ის დადის!.. ისევ ბატონიანთსა წავალ, იქა სჯობიან, შაქარსაც მომცემენ, შაქარსა. რატომ ჩვენკი არა გვაქვს შაქარი? დიდედა ერთხელ ქალაქში ეოფილა მოჯამაგირედ, ესლა გახდა უსინათლო, თორემ... უცნაურ ამბებს გვიტრვის ხოლმე.“ აქ ზაქას მოაგონდა დიდედას ნაამბობი ქალაქის ამბა-ვი, თვალები ჩახუჭა და სცდილობდა წარმოედგინა, თუ რა იყო ქალაქი.

დიდრონი ქუჩები... ღამე სულ ჭრაქები ანთია, ძალიან ბე-ვრი სალხი დადის... თუ გზა კარგად არ იცი, დაიკარგები. „არა, მე არ დავიკარგებოდი,—წაიბუტბუტა ზაქამ წუხარად.— რომ გავიზრდები, კამბეჩებს ვიყიდი, ურემს მე თითონ გავა-კეთებ, აი როგორც ჩვენებიანთ სოსია, და ქალაქს წავალ. ვი-ყიდი დედიჩემისთვის თავშალს... კაბასა... ფლოსტები კი დამა-ვიწყდა... დიდედას თბილ შალს ვუყიდი, როგორც მარიხესა აქვს, თორემ სულ მცივა-მცივას იმახის. მაროს? მაროს რადა ვუყიდო?“ ზაქამ თვალები გაახილა. „რა? შაქრის ბურები! ჩემთვის

ქუდს ვიყიდი, მაზარასა... ზამთარში შეშაზე რომ წავალ, ადგარ შემცივა, ქალამნებს ვიყიდი“.

აქ ზაქამ თავისი ბატარა ფეხები დაითვალიერა და სიამოვნებით გაიღიმა.

„წინდებს დედა მომიქსოვს, ბაჭიჭებს დიდედა... ეხლა სულ სხვებს უქსოვს, მაშინ კი მეც დამჭირდება.“ ამ ფიქრებმა ზაქა ისე გაიტაცა, რომ სულ დავიწყდა თავისი ბაწაწინაობა და განაგრძო: „კამბეჩებს რომ ვიყიდი, ერთს ლომას დავარქმევ, მეორეს ზაქარას. ეი და-და-და, კოფოზე დავჯდები, ურმულს დავძახებ, ჩვენებიანთ მისასვით შოლტსაც გაუტკაცუნებ...“ და ოცნებით ფატაცებულმა ბატარა ზაქამ მაგრა მოუჭირა ხელი შოლტს, ღონივრად გაატკაცუნა და თითქოს ამ ხმაურობამ გამოაღვიძაო, უცბად ფეხზე წამოხტა, მიიხედ-მოიხედა და ბირდაბირ თავიანთ ნახევრად დანგრეული ძიწური დაინახა, რომლის დერეფანშიაც იმისი მოხუცი დიდედა გოჭებს ეომებოდა და ვერა გაეწყობოდა. ზაქა მარდად გაიქცა და ბებიას გოჭები მოაშორა. მაროს დასწვდა, ხელი დაუჭირა და გააქცია იქვე მდინარე რუსკენ, სადაც იმისივე ტოლი გოგო-ბიჭები დატობავდნენ წყალში. მაროს ხელი აუშვა, აიწია შარვლის ტოტები, თითქოს ისინი უშლიდნენ რასმე, და ჩაერია უხრუნველ და მხიარულ ამხანაგებში. ეხლა რომ შეგეხედნათ ბატარა ზაქარიასთვის, არ დაიჯერებდით, თუ ამ რამდენიმე წამის წინად ისეთ ღრმა ფიქრებში და ტკბილ ოცნებაში იყო გართული.

ა. გ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედის გული

(თარგმანი)

ინდა გიამბოთ ერთ სცოდავ მაი-
მუნის, ჟაკინეტის, ამბავი. ეს
ამბავი სამხრეთ ამერიკაში მოხ-
და ამ რამდენიმე წლის წინად.

ეს მაიმუნი დაბურულ ტყეში
იპოვნა ერთმა საწყალმა შეშის-
მჭრელმა და მიჰგვარა მდიდარ
მემამულეს, ანდრე კასკალა-
დოს.

ანდრე კასკალადოს ჰყავდა
ორი ბატარა ხუჭუჭ-თმიანი
შავ-თვალ-წარბა ქალი. ანდრეს ძრიელ შეებრალა სც-
დავი ბაწაწკინა უპატრონო მაიმუნი და თავის სახლში დააბი-
ნავა. ბავშვები მალე დაუმეგობრდნენ ცოცხალ, გონიერ და
მასხარა ბირუტყვს.

ბატარა მაიმუნი ორანგუტანის ჯიშისა იყო და ბირველ
შეხედვაზედვე იპყრობდა კაცის გულს.

ლაბარაკი კარგად ესმოდა. თუ მოსაწყენს ეუბნებოდნენ, ცხვირს ჩამოუშვებდა, თუ მხიარულს გაიგებდა რასმე, ისიც გამხიარუ-
ლდებოდა და ბედნიერ ბავშვივით გაბრწყინდებოდა. როდესაც

ხელს უსვამდნენ, ნაზად ეალერსებოდა თავის ბატრონებს და მხიარულად წკმუტუნებდა.

ბატარა ცოცხალ თვალებში ჭკუა მოსჩანდა. სწორედ რო ვსთქვათ, არც მახინჯი იყო, რადგან იმის სიმახინჯეს ფარავდა ბუნებრივი სიკოხტავე და ადამიანური გონება. ამიტომაც იყო, რომ ყველა ეალერსებოდა.

ჟაკინეტი იზრდებოდა და დღითი დღე იწვრთნებოდა. ამასთან სასარგებლოც იყო კასკალადოსა და იმის ორ ქალისთვის. ბირველსავე დაძახებაზედ მიირბენდა და ასრულებდა ბრძანებას: სახლს ალაგებდა, მოჰქონდა ჭურჭელი, ამასთან ისე კოხტად და მოხერხებულად მიდი-მოდიოდა, რომ არაფერს არ აფუჭებდა და არ ამტვრევდა. წავიდოდა წყაროზედ, აავსებდა სურას და მხიარულად მიმუგმუგებდა შინისკენ.

— ჩემო კარგო ჟაკინეტ, — ეალერსებოდა ხუთი წლის იულია. ჟაკინეტიც წამოუწვებოდა ფეხებს წინ ან ნაზად მუხლებზედ მიეკვროდა.

— ყოველთვის გეყვარებით, ჟაკინეტ?— ჰკითხავდა უფრო-სი და მერსედესი და ჟაკინეტიც ისეთის ყვირილით პასუხობ-სებდა, რომ ნათლად სჩანდა იმისი გულწრფელობა.

ხშირად დები სადილის დროს შუაში ჩაისვამდნენ ჟაკინეტს და ისიც სცდილობდა ყველაფერში რიგიანად მოქცეულიყო: ფრთხილად გაშლიდა ხელსაწმენდს, მოხერხებულად ხმარობდა დანა-ჩანგალს და კოვზს, სვამდა ჭიქით წყალ-ღვინოს და ალერ-სიანად უღიმოდა ქალებს—თქვენს სადღეგრძელოს გიახლებითო. მერე გააკეთებდა ყველასთვის ჩაის, ალაგებდა სუფრას და დიდის მოთმინებით ელოდა თავის ჩაის გაცივებას.

მალე ჟაკინეტს ამხანაგიც გამოუჩნდა. ისიც ორან-გუტანი იყო, მაგრამ ისეთი სწავლული კი არ იყო, როგორც ჟაკინეტი; ვირიქით—საშინელი მოუხეშავი იყო და რასაც-კი მიეკარებოდა, ყველაფერს ამტვრევდა, აფუჭებდა ან აჭუჭყიანებდა.

ჟაკინეტი თითქოს გულნატკენი იყო, რომ იმისი მეგობა-რი ასეთი მოუხეშავი გამოდგა. სულ იმას სცდილობდა თავისს ჟაკოსთვის ცემა აეცდინა როგორმე. ცოტა ხანს შემდეგ ჟა-კინეტს შვილი გაუჩნდა. მთელი იმისი გული შვილის მხურ-ვალე სიყვარულით აივსო. სწორედ ამ დროს ჟაკინეტის ბატ-რონი და იმისი ორი ქალი უნდა შორს ქვეყანას წასულიყ-ვნენ. რა უნდა ექნათ? ჟაკინეტის წაყვანა იმ სიშორეზედ შეუძ-ლებელი იყო. უნებლიედ, გულის მწუხარებით და ტირილით დაბრუნებამდე ჟაკინეტი თავის შვილით სხვას მიაბარებს. დაა-ბინავეს კეთილმა ბატრონებმა ჟაკინეტი და თვითონ ბირველ გემითვე წავიდნენ პორტუგალიისკენ.

ჟაკინეტი მალე მიხვდა, რა განსხვავება იყო წინანდელ და ეხლანდელ ბატრონებს შორის. შვილი რომ არ ჰყოლოდა, სწორედ ჯავრისაგან გათავდებოდა. მაგრამ დედა ხშირად ივიწ-ყებს თავის თავს შვილებისთვის. ჟაკინეტს მოაკლდა ის, რაც წინად ჰქონდა: აღარც ალერსი იყო იმისთვის, აღარც ფუფუნება და აღარც ეურადღება.

წინანდელ ალერსისა და სიყვარულის მაგიერ, ახლანდელი პატრონი და იმისი შვილები ხშირად უკბენდნენ და საწყალს. ჟაკინეტი მოათავსეს თავლის ჭუჭყიან კუთხეში.

ამ ოფაში ჟაკინეტმა მთელი თავისი ძალ-ღონე, ჭკუა და სიყვარული თავის დაუფასებელ პატარა შვილზე გადაიტანა. ძალიან, მეტად ძალიან უყვარდა თავისი შვილი. როგორ უფრთხილდებოდა, თავს ევლებოდა, რომ ქარი ან სიცივე არსაიდან მოჰკვედროდა ან ბუზებს არ დაეკბინათ, როგორ იხუტებდა გულში!.

უყვარდა მეტად-კი იმასა სცდილობდა, რომ უგულო ბავშვებს არა ევნოთ-რა. რაც შეეხება პატარა ორანგუტანის მამას, რომელიც ჟაკინეტთან ერთად გადავიდა ახალ პატრონთან, იგი არაფერში ერეოდა: ჯოხით ხელში დადიოდა აქა-იქ და სან სხვებს აშინებდა, სან თითონ შეშინებული გაძორბოდა.

იცით თქვენ, რომ მაიმუნის ხორცს სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ადგილებში საჭმელად ხმარობენ და ბევრს ძალიანაც უყვარს? იქ ამ ხორცს დიდი ფასი აქვს, როგორც ჩვენში კარგად მომზადებულ ინდოურის ან შველის ხორცს.

ერთხელ ახალმა ხატრონმა თავისი მეგობრები მიიწვია სადილად. ყოველ გვარი საჭმელი მოამზადეს და შეწვარიც არა ჰქონდათ... მზარეულმა ასეთი რჩევა მისცა ხატრონს:

— თქვენს მაიმუნს ხატარა შვილი ჰყავს, ჯერ ისევ ძუძუ მწოვარაა და რომ შეიწვას, ისეთი რამ იქნება, რომ თვალსაც გაახარებს და კუჭსაც ასიამოვნებს.

ხატრონმა გადიხარხარა და ბავშვებმაც ბანი მისცეს მამას.

— ეხლავ!— უთხრა მზარეულს ბატონმა:—ძალიან კარგი, მაშ შეშწვარიც ვიშოვნეთ!

— რა კარგია, სადილად მაიმუნი გვექნება!.. —ევიროდნენ ბავშვები.

მზარეული ჭაკინეტთან მივიდა და ხელში სურა მისცა, ვითომ წვაროზე წადიო. ისიც მაშინვე წვაროსკენ წავიდა და თავისი ხაწაწა შვილი მძინარე დასტოვა დიდის მეცადინეობით მოგროვილ ფოთლებზე. წვაროდან რომ დაბრუნდა, შვილი იქ აღარ დახვდა... ძნელი წარმოსადგენია საცოდავ დედის მწუხარება, ტანჯვა და სასოწარკვეთილება!

ამასობაში სტუმრებმა თავი მოიყარეს სასადილო ოთახში. სადილი მზად იყო და სუფრას შემოუსხდნენ.

სადილზედ ჭაკინეტზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ეკელა აქებდა იმის მოხდენილ მიხვრა-მოხვრას, იმის საქმიანობას და ოსტატობას. ისე აქებდნენ მაიმუნს, რომ ზოგიერთ სტუმარს ეჭვი შეეპარა და არა სჯეროდა ასეთი გონიერება ჰირუტევისა.

— მარტო ადამიანს შეუძლიან მაგების მოხერხება და გაკეთება,— შენიშნა ერთმა სტუმარმა.

— სანამ ჩემი თვალით არა ვნახავ ეკელაფერს, არ დავიჯერებ,—სთქვა მეორემ.

— აი, ეხლავე ნახავთ!—სთქვა მასპინძელმა და მოსამსახურეს უბრძანა:—ჭაკინეტს დაუძახეო.

ბავშვებს ცრიამული შეუდგათ, უხაროდათ მაიმუნის მოყვანა... ჭაკინეტი მოიყვანეს. მთლად ცახცახებდა და სასოწარკ-

ვეთილ საცოდავ თვალის გამოშტვენებით რაღაცას ეჩურჩულებოდა სადილზედ შეკრებილთ...

გამხიარულებული სტუმრები-კი იცინოდნენ და ჭაკინტს აქეთ-იქიდან უბრძანებდნენ:—ღვინო დაასხი, ხელსაწმენდი მოაწოდე, თეფში გამოცვალეო. მაგრამ იმას არა ესმოდა-რა. შვილის დაკარგვამ ყველაფერი დაავიწყა, იმას თავის დარდისა და მწუხარების მეტი აღარა გაეგებოდა-რა.

შემოიტანეს ყვრცხლის სინით და შუა სუფრაზედ დასდეს შემწვარი... ჰატარა მაიმუნი მთლიანად შეეწვათ და თავით ფეხამდე დაბრაწულიყო. ამის დანახვაზე ყველას სიამოვნება დაეტყო.

ჭაკინტმა შეხედა ყვრცხლის სინს. საწყალს სიმწარისაგან ხისხლი თავში აუვარდა, ბალანი ჟალხზე აუდგა და ბრჭყალები დაუგრძელდა... გულიდან საშინელი და საზარელი კვნესა ამოსკდა, რამაც იმის მტანჯველებსაც-კი ძოულბო გული. უბედური დედა თვალის დახამხამებაზედ შეხტა სუფრაზედ, დაავლო ხელი თავის ჰაწიას უსულო გვამს, ჩაიკრა გულში და საშინელის კივილით გავარდა გარედ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტყეში, ძაღალ ბალახში ნახეს ჭაკინტის გვამი. გულში მაგრად ჩაეკრა თავისი შემწვარი შვილი და ისე მომკვდარიყო...

ოლგა ბეჟანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგელი

ველაზედ ბევრად დიდია,
არა ჰგავს წუპაკ ტურასა;
შორიდან ვერცკი გაარჩევთ,
მგელს ხედავთ თუ რუხს მელასა.

კისერი გაშეშებია
პირღია მაწანწალასა;
წუთში გადირბენს მთას და ველს,
არ ატანს მუხლებს ძალასა.

მაგრამ თუ ალდო აიდო,
შენიშნა სადმე ცხვრის ფარა,
სულს იცემს, შორი ახლოსა
მიიმალება ის ჩქარა.

და უცდის ღამეს... ბნელს ღამეს,
რომ მიეპაროს ქურდულად
და დაეძგეროს არჩეულს
მისგანვე მსხვერპლად შურდულად.

მარჯვედ მოიგდებს კისერზედ
უცბად გაგუდულ ბატკანსა;
არც ეპუება ეშვასა
და არც მეცხვარის ქაქანსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირბის და მიაქვს ნადავლი,
ძუნძულ-ძუნძულით მსვლელია!..
კიდევ კარგი, რომ არ არის
ეშმაკი, როგორც მელია.

აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილი ფუფალასთან



აშობაო ეინვამ მოუწერა და დაიძრა კიდეც გარშემო სოფლებიდან ქალაქისკენ ათასნაირი ურმები, დატვირთული შობის ხეებით, ხილით და მრავალ სანოვაგით.

ქალაქი დიდ სამზადისშია. დუქნების ფანჯრებში გამოფენილია ფერად-ფერადი ფარჩა-აბრეშუმი, სათამაშოები და სხვა მრავალი საუცხოო სანახავი.

ბაზარში არაჩვეულებრივი არეულობაა. დიდი და პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ყველას რაღაც ეშურება: დარბის, ვაჭრობს, ყიდულობს და ემზადება დიდს დღესასწაულისათვის. ეტლების რახა-რუხი შუაღამემდის არ შეწყვეტილა. მოქანცულ ქალაქსაც ძლივს ჩაეძინა.

ბნელი ღამეა, ცივი, ქარ-ბუქიანი. ერთს მიერუებულს ვიწრო ქუჩაში, დაბლა, სარდაფში, მკრთალ სანთლის შუქზე, მოსჩანს მაღლა კუნჭულში დასვენებული სატი და იატაკზედ ტკბილად მძინარე პატარა ბავშვები. იქვე, მათთან ახლო, წევს მათი ავადმყოფი, შეწუხებული დედა, რომელსაც რა სანია ძილი არ მიჰკარებია. არ სძინავს აგრეთვე რვა წლის პატარა გოგონას. მიწოლილა ისიც დედასთან შორი-ახლოს და ათასნაირი მწარე ფიქრი უტრიალებს პაწია თავში. დედა რა სა-

ნია ლოგინად ჩავარდა და ვეღარა დგება, ბატარა დებს შიშილით სიკვდილი მოელით.

ცრემლები ახრჩობს, რომ მოაგონდება სახლის პატრონი: საცაა სახლიდანაც გარეკავენ. მამლის ეიგილია და იმის თვალებს-კი ძილი არ ეკარება. ბოლოს ერთმა აზრმა გაურბინა თავში და იმედით გაუბრწყინდა სახე: „მოდი და ფუფალას წერილს გავუგზავნი, შემწეობასა ვთხოვ... ამოდენა თხოვნასა სწერს ხალხი... ღმერთი მოწყალეა, იქნება შეისმინოს და რამე შემწეობა აღმოგვიჩინოს ამ დღესასწაულშიო“.

ამ აზრით დამშვიდებულ ბავშვს ტკბილად ჩაეძინა.

ქალაქმა გაიღვიძა და ბავშვიც წამოდგა. დასწერა წერილი, როგორც იცოდა, თავის ბაწია დების ჩუმად გაიპარა სახლიდან ეკლესიისკენ. მივიდა ეკლესიის კედელზედ დაკიდულ ყუთთან და დაუწყო ბოტინი, რომ შესწდომოდა და თავისი წერილი შიგ ჩაეგდო. ამ დროს გამოიარა ამავე ეკლესიის მოხუცმა მოძღვარმა; დაინახა ბავშვის ბოტინი და მკლავში ხელი წაავლო—ქურდი ეგონა. მაგრამ როდესაც გაიგო, საქმე რაშიც იყო, სახე სიამოვნებით გაუბრწყინდა და ღიმილით უთ-

ხრა ბავშვს: შენს წერილს მე თვითონ გადავცემ ფუთალას და ვასუხსაც სვალვე შეგატყობინებო.

იმავ დღეს მღვდელმა თავის მრევლში ფული შეაგროვა ამ საცოდავ ოჯახისათვის და მეორე დღეს მივიდა ბავშვის ბინაზე, გადასცა ბავშვს შეკრებილი ფული და ნუგეში სცა ავადმოფს მის დედას.

ს. რომანიშვალი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვირი და ბეითალი

ი გ ა ვ ი



ირს ჩოჩორი ავად გაუხდა, ბეითალს მიუყვანა და თვალცრემლიანი შეემედრა:

— ბატონო ექიმო, ღვთის გულისთვის, შრომას ნუ დაზოგავ და ეს ჩოჩორი სიკვდილს გადამირჩინე.

ბეითალმა ახედ-დახედა ჩოჩორს, მერე მიუბრუნდა ვირს და საეჭვდურის კილოთი უთხრა:

—შენმა მზემ, ნუღარას დაიშლი! ჩოჩორი რა მიგდია—იმის გულისთვის თავი შეგიტკიო და წამლები ვაკეთო? მგ თუ მოკვდა, მე ვიცი, ქვეყანა გადაბრუნდება!

გამობრუნდა გულ-ნატკენი, ნაღვლიანი ვირი თავისს ჩოჩორით შინისკენ. მაგრამ მალე ბედმა გაუღიმა: ჩოჩორს უკეთობა დაეტყო და შემდეგ სრულიად კარგად შეიქნა. საუბედუროდ, ვირი ახლა თვითონ გახდა ავად. მეტი ღონე არ იყო, ისევ იმ ბეითალს მიმართა.

— ბატონო,—მოწიწებით მოახსენა ვირმა,—სიკეთე მიყავ, მიწამლე და სამაგიეროდ, როგორც გსურდეს, ისე მიმსახურე.

— ვირის წამლად ჯობი გამიგია,—მიუგო ბეითალმა და სდრუსა საცოდავს ჯობი.

წამოვიდა საბრალო ვირი შერცხვენილი, გამწარებული და იმედ-მიხდილი. მოხდა ისე, რომ ესეც უქნიმოდ გაიფლანგა.

ადგა გასარებული ვირი, გაიყოლა თან ჩოჩორი, მივიდა ბეითალთან და თავ-დაბლად მოახსენა:

— ბატონო ბეითალო, მე და ჩემი შვილი გულითად მადლობას გიძღვნით სიკეთისთვის.

— როგორ, რას მასხარაობ, მე თქვენთვის რა სიკეთე გამიწევია?!—ჰკითხა ბეითალმა.

— დიდი, ძლიერ დიდი,—მიუგო ვირმა,—შენმა უარმა დედა-შვილს გვარგო—წამლობა რომ დაგვწყო, იქნება ორივ დავღუპილიყავით.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩხუბის შემდეგ

IV

აქვარელო მაძილო! მე და ძალო ვიყავით სამსჯელში და ახლა გენრიხმა ვეფხვი გაგვაცნო. იცი, მაძილო, რა გითხრა, გენრიხს მივართვით, დეიდამ რო საასპარწლოდ კახეთიდან ხილი გამოგვიგზავნა: ათი ჩურჩხელა, სუთი ტკბილი ბრონწეული და ერთიც ლეღვის ჩირი. გენრიხმა ზრდილობიანად მადლობა გვითხრა, მერე ვეფხვის გალიასთან მიგვიყვანა... იცი რა, შოთა მხდალია, მინამ ძალომ ხელი არ დაუჭირა, როდი მიუახლოვდა ვეფხვს.

აი, გენრიხმა რა გვიამბო:

„ეს ჩვენი ვეფხვი ნამდვილი ინდოეთის ვეფხვია და ბენგალიის მაზრაშია დაჭერილი. როგორც ვხედავთ, ნამდვილი კატაა, საუცხოვო ფერადებით მშვენივრად დახატული, ზოლებიან და ჭრელ ძვირფას ქათიბით. ეს ვეფხვი ლომზე მაღალია, უფრო მოგძო და კოხტა მოყვანილობისაა, თან ლომზე მარდი და სუმბუქიც არის. სხვაფერიგად არაფერში ჩამორჩება ლომს. მართალია, ვეფხვს არა აქვს თავი და მხრები ლომივით დიდებულად მანტიით დამშვენებული. სამაგიეროდ, ვეფხს თავი უფ-

რო მომრგვალო აქვს და სახე წვერ-ულვაშით შემოსილი. ძუ ვეფხვი სვადზედ მომცროა და არც წვერ-ულვაში აქვს ისეთი სქელი და მშვირი, ლეკვები ისეთივე ჭრელ ლაშაზ ქათიბით იბადებიან, როგორიც მათი დედ-მამაა.

„ამ გვარი ჭრელი ცხოველები თითქოს ადვილი საპოვნელი უნდა იყოს მონადირეებისთვის, მაგრამ ვეფხვი განგებ იმ გვარ ადგილებს ირჩევს ხოლმე საცხოვრებლად, სადაც მთელი ბუნება სწორედ იმ ფერადებით არის აჭრელებული, როგორც თვითონ ვეფხვი. უმთავრესად უყვარს ტბასა და მდინარეს ახლოს ხშირად ატეხილი ჭალა და ლერწმნარი, აგრეთვე ბუჩქები და ზოგჯერ ყანებშიაც იმალება. მთაში ძრიელ მაღლა არ მიდის, ხოლო უდაბურ ტყეებსაც არ ერიდება, უყვარს სადმე დაბურულ ტყეში, ნაქალაქევ ადგილებში, ნანგრევებთან ცხოვრებაც. საცა ბუნაგისთვის ადგილს მოიწონებს, იმას მთელ სიცოცხლეში არა შორდება, აღარ გამოიცვლის...

„ვეფხვის ნამდვილი სამშობლო ინდოეთია, მაგრამ სცხოვრობს მთელ აზიის ცხელ ქვეყნებშიაც, მაგალითად, ჩინეთში, ავღანისტანში, სპარსეთში. აგრეთვე ხვდება კავკასიაშიაც, სპარსეთის საზღვარზე“.

შოთამ წამოიძახა:

— მე ვიცი, ვიცი!

— მოიცა ერთი, ნუ გვიშლი, აბა რა იცი?— ჰკითხა მასწავლებელმა.

— შარშან გიმნაზიიდან წაგვიყვანეს ტფილისის მუზეუმის სანახავად და იქ ერთ უშველებელ ვეფხვის ფშუტი სდგას, კლდეზედ ამართული. ეს ვეფხვი ლენქორანში (ბაქოს გუბერნია) მოუკლავთ თათრებს. ვიშ, დედავ, იმოდენა კბილებს აკრეჭავს, რო....

უველამ გადავწყვიტეთ მუზეუმის ნახვა. გენრიხმა განაგრძო:

„ვეფხვი ზნე-ხასიათითაც ნამდვილი კატაა, მაგრამ უველაფერი, რასაკვირველია, თავის სიძრიელის და სიდიდის

შესაფერად იცის. მოძრაობაში ისეთი მოქნილი, მდგრადნაკვთი და მარდია, როგორც ყველა კატა. უჩუმრად მიეპარება, ხოჯგვარ მიცოცავს კიდეც და სადაც დასჭირდება სირბილი ხტუნვა-ხტუნვით მირბის; წვალშიაც მარჯვედ ცურაობს.

„ვეფხვის ნახტომს წინად ძრიელ აზვიადებდნენ. ესლანდელ მონადირეებს ბევრჯელ მიუტანიათ კვალი ვეფხვის ნახტომზე, რომელსაც ეს საშინელი მხეცი ნადირს გამოსდგომია. აღმოჩნდა, რო, რაც უნდა ძრიელი და მარდი ვეფხვი იყოს, იმვიათად რომ ხუთ ადლზე მეტი მანძილი გადახტეს.“

ძალომ სთქვა:

— ეგ რა დიდი საქმეა, ჩვენში კარგი ვაჭკაცი ნაბადს გადაახტება ხოლმე.

გენრიხმა განაგრძო:

„ხეზე თავის დღენი ვეფხვი არ ავა, შეიძლება კი იმვიათად მოხდეს, თუ ტოტები ხეს დაბლად და ხშირად აქვს, ხოლო უტოტო და გასიბულ ქერქიან ხეზე ასვლა სრულებით არ შეუძლიან. მაგრამ უყვარს კი კატასავით რბილ კანიან ხის ჩხაჭვნა და ხის ტოტებთან თამაშობა.

„ვერ ვიტყვით, რო ვეფხვი ღამის ცხოველი იყოს, რადგან დღისითაც დაწანწალებს სანადიროდ. უფრო კი უყვარს ნადირობა მზის ჩასვლის წინად და მერეც ბინდისას. ვეფხვმა წინადვე იცის, ნადირი საცა ხვდება. გზებში ჩაუსაფრდება ხოლმე, მაგალითად, ტყეში ბილიკებთან, მდინარის ნაპირთან, სადაც გზა ჩამოდის და ნადირი დადის წყლის დასალევად, აგრეთვე დარაჯობს საშურიან, მლაშე მინდორთან, სადაც ნადირი ეტანება და მარილს ლოკავს. ეს ადგილები კაცმაც იცის და ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მონადირე ვეფხვი და მონადირე კაცი ერთმანეთს აქ შეეყეთებიან. არც ერთი ცხოველი, რაც უნდა დიდი და ძლიერი იყოს, ვეფხვის ჭანგს ვერ წაუვა, გულადად დაეცემა, ბასრი კბილებით უმტრევს კისერს, უღადრავს ყელს და

მერე მიარბენინებს სასადილოდ. ვეფხვი ვერ შეჭმადაგს სოლძე მხოლოდ ძლიერ სპილოს, მარტორქას, გარეული კამეჩი და იქნება კიდევ სხვა ორიოდ ძლიერ ცხოველს. დანარჩენი სხვილშანი და წვრილშანი ცხოველები თავის საკუთრებად მიაჩნია.

ხანდისხან ვეფხვს ღონის საცდელად უმეარს გარეულ ხარკამეჩთან შებრძოლება და, რასაკვირველია, კამეჩის ძლიერ

რქებისაგან მარცხიც ხშირად ემართება. ზოგჯერ რამდენიმე ხარ-კამეჩი თვითონ დაეცემიან ხოლმე ვეფხვს, აიღებენ ურქებით და ერთმანეთს ბურთივით ესვრიან, ვიდრე ვეფხვს მთლად დაფლერთენ. ამიტომაც სადაც ვეფხვის შიშია, ინდოელები კამეჩებით მოგზაურობენ. მონადირეთაგან ისიც გაგონილი გვაქვს, ვითომ კაი ხორბა გარეული ტახი თავის მრიელ ეშვებით ხშირად იფრენს ხოლმე ვეფხვსაო. მოხდება, რომ ვეფხვი დათვთანაც ჭიდაობს. მაგრამ ნავარდობა ვეფხვს უფრო უყვარს ირმებზე, შველებზედ, ღორებზე, რომელთა ხორცი უფრო გემრიელია. მშიერი ვეფხვი კარგად კადრულობს ადიდებულ მდინარეთაგან გამორიყულს თევზს, კუს, ხვლიკს, ნიანგს და სხვას. ამბობენ, მშიერი ვეფხვი ბაყაყსაც სჭამს და სამთარში კი რო გაუჭირდება, არც მინდვრის თაგვსა სწუნობსო.

ინდოეთში ზოგ ადგილას ისე ხშირია ვეფხვი, რომ შარა გზაზე უხვდება ხოლმე სალხს. მაგალითად, როცა ფოსტა მიაქვთ, მთელი ჯარი თანასდევს დაფ-დაფების ბრახუნით და ანთებულ ჩირაღდნებით, რადგან ვეფხვი ცეცხლს უფრთხის, ეშინია.

როგორც ჩვენში ქვავი, კაჭკაჭი, ბელურა და ტეის ჩიტები აუტყდებიან ხოლმე ძერას, ბუს და სხვა მტაცებელ ფრინველებს, დასცემენ ხოლმე კიჟინას და მასხარად იგდებენ, ისე ინდოეთში ცელქი მაიმუნები ჩააცივდებიან ხოლმე ვეფხვს, აჟინიანებენ, ქოქოლას აერიან. ვსთქვათ, სადმე სვეის ჰირად ანუ ბოსტნებში, მაიმუნები ხილს ჰკრეფენ. ამ დროს ალბოს აიღებენ თუ არა, ვეფხვი მოიპარებაო, წამსვე მთელი სროვა მაიმუნებისა ავარდება მაღალ ხეებზე და კენწეროებიდან ლანძღავენ ვეფხვს, ყვირიან, ტოტებს არხევენ, ემუქრებიან და აბრაზებენ ვეფხვს. ვეფხვმა იცის, რომ მაიმუნების ყვირილზე ქვეყვანა შემიტყობსო, და ამიტომ კუდ-ამოძუებული სცდილობს უჩინრად გაეპაროს ამ სამაგლებს, მაგრამ ახლა სხვა უბნის მაიმუნები ჩააცივდებიან ხოლმე. გამოცდილი მონადირე მაშინათვე მიხვდება, მაიმუნების

კიკინის მიზეზი ვინც არის და მოხერხებულ ადგილს ჩაუსაფრდება ხოლმე ვეფხვს მოსაკლავად.

„ვეფხვის ხმა ისეთი ძრიელი არ არის, როგორც ლომის ღრიალი და მუღარობა. საზოგადოდ რო ვსთქვათ, ვეფხვი არც ლომივით გულადი და გულ და გულია: ვეფხვი უფრო ეშმაკურად, სიფრთხილით, მიპარვით ნადირობს, ზოგჯერ მხდალიც არის. ბირველად, სამად კაცს დაინახავს თუ არა, გაურბის, მაგრამ მერე, როცა დარწმუნდება, რომ კაცს უფრო ადვილად მოვერევიო, შესაჭმელადაც ადარ ინდობს. თუ ვეფხვმა ადამიანის ხორცის გემო გაიცნო, მერე ადარ მოშორდება სოფლებს. გაწუწკებული ვეფხვი ზოგჯერ მთელ მაზრას ისე შეჰკრავს ხოლმე, რომ სოფლიდან სოფელს ადამიანი ვერ მისულა. ხშირად მომხდარა, რომ დღისით, აშკარად, ეკლესს თვალწინ ვეფხვი სოფელს დასცემია და იქვე თვალწინ ადამიანი მოუტაცნია. კაცი-ჭამია ვეფხვის შიშით ბევრჯელ მთელი სოფელი აურიღა და შორს სადმე გადასახლებულა. უფრო სამაშ მდგომარეობაშია სოფლის ხალხი, მინდორსა და ტყეში მომუშავენი, და აგრეთვე მწყემსი და მისი სამწყსო.

„მაგრამ ეკლესა ვეფხვი ასეთი როდია. ზოგი მარტოდ და მხოლოდ ტყის ცხოველებზე ნადირობით სცხოვრობს, თავისთვის ბატიოსნად. ზოგი კი შინაურ საქონლის გემოს რო გაიღებს, ადამიანს ცხოვრების საღსარს უხშობს—სულ გააჩანაგებს ხოლმე მის საქონელს. მესამე რიგობა ვეფხვისა იმისთანაც გამოერევა ხოლმე, რომ ადამიანის ხორცის ძუსუსი ხდება.

„უწინ მართალია ვეფხვის შიშით ადამიანს არ ებოგინებოდა, მაგრამ ახლა ჩვენს დროს არაკად და ზღაპრადღა მიაჩნიათ ვეფხვთა უწინდელი ოინები. ახლანდელ თოფიარაღს რომელი ვეფხვი გადურჩება! ევროპიელი მონადირენი, უფროკი ინგლისელები, საგანგებოდ მიდიან ხოლმე ინდოეთში ვეფხვებზე სანადიროდ, რადგან ვეფხვის ჭრელი ტყავი ძვირად ფასობს,

შვიდას მანეთამდე ღირს. აგრეთვე ინდოელები ძლიერ აფასებენ ვეფხვის ხორცს. ვინც იმას სჭამს, ვეფხვის გული ექნებაო. ამიტომ რათქვა ვეფხვის ძვლიდან ავგაროზებს იკეთებენ ცრუმორწმუნე ინდოელები. ზოგჯერ ვეფხვს ორმოებითაც იჭერენ. ორმოზე ფიჩხს დაჰყრიან, ზედ თხას დააბმენ და მერე, ვეფხვი რომ თხას დაცემა, ორივენი ორმოში ცვივდებიან, ვეფხვი თხაზე იურის ხოლმე ჯავრს, მაგრამ თითონაც თხაზე უარესი დღე დაადგება. ეხლა ისე გაადვილეს ვეფხვზე ნადირობა, რომ ქალებიც კი ბედაურ ცხენებით ანუ სპილოთი მიდიან კაცებთან ერთად ვეფხვის მოსაკლავად, უფრო ხშირად კი, მგონი, შხამით (სტრიხნინით) სწამლავენ ამ საშინელ მხეცს. განათლებულ კაცს ახლა აღარაფერი უძნელდებაო," დაუმატა ბოლოს გენრიხმა.

ასე, ჩემო მამილო. ჩემ ფისოს დანარჩენ ნათესავებზე შემდეგ მოკლედ მოგახსენებ, რადგან შოთა სულ მეჩხუბება, ახლა ჩემი ჯერიაო.

შენი მარიკო.

ნარჩევი

პატარა მაწანწალების ბაღი ნიუ-იორკში. როგორადაც ვარიშში, ისე უფრო მოძრაობულად ნიუ-იორკის ქუჩებში დაიარება მრავალი ვაჭარა მაწანწალა გოგო-ბიჭი. როცა მათი მშობლები სამუშაოდ გადიან, ბავშვებიც არა რჩებიან თავის ვიწრო და ღარიბ ქოხებში. კარში დაწანწალებენ მთელი დღე და, რასაკვირველია, ბევრ ცუდ ამხანაგს იძენენ, თითონაც ირევნებიან და უზნეონი გამოდიან. ამის გამო რამდენიმე ქველ-მოქმედმა საზოგადოებამ დაარსა ნიუ-იორკის ქალაქ გარეთ ცარიელ ალაგებში ბაღები, სადაც მიჰყავთ სამუშაოდ ეს ვაჭარა უსაქმურნი, აძლევენ საბოსტნე ვაჭარა-ვაჭარა ალაგებს შესამუშავებლად, თავს ადგანან და მიწის მოვლას ასწავლენ. ბაღოსნობა ძალიან ართობს საერთოდ ბავშვებს. საბრალო ვაჭარა ნიუ-იორკელი ღარიბი მაწანწალებიც სიამოვნებით შეუდგნენ ბაღში მუშაობას, მით უფრო რომ ნება აქვთ შინ წაიღონ მათ მიერ მოყვანილი ბოსტნეული, ანუ თავიანთ სასარგებლოდ ჰყიდონ. რამდენიმე გროშის შემენა ბავშვებს ახალისებს და უფრო გულდადებით მუშაობენ. ამასობაში ეჩვევიან მუშაობას, უქმად აღარ დაწანწალებენ ქუჩებში და არ ითვისებენ ავ ზნე-ჩვეულებას. ამ ბაღებს ეძახიან ფერმებს. ყოველ ბაღს აქვს იქვე სახლი, სადაც ვაჭარა ქალები დიასახლისობას ეჩვევიან: აქ სწავლობენ სისუფთავეს, რომელსაც მოკლებულნი არიან მშობლების სახლებში, სახლის მოვლას და მილაგებას. აქვე ამ ფერმებში სრდიან სხვა და სხვა საქონელს, რომელსაც ბავშვები სიამოვნებით უვლიან.

სახალისო სამუშაო და გასართობი

ზრდილობიანი თაგვი

თარგმანი რუსულიდან

ერთხელ კატა დასდევდა თაგვს დასაჭერად. გულ გახეთქილი თაგვი მიიმალა ერთ ბნელ კუთხეში და ეგონა, რომ ეს არის თავი დავასწიეო. მაგრამ შენც არ მოიკვდე: კატა არამც თუ არ წავიდა ოთახიდან, არამედ უფრო მაგრა მოიკალათა ოთახში იმ იმედით, რომ ხელში ჩაეგდო საცოდავი თაგვი. კატა იჯდა გაუნძრევლად და ელოდა. ერთბაშად დააცემინა. ამის გაგონებაზედ თაგვმა ეურები სცქვიტა. ,,უნდა ზრდილობიანად მოვექცე“, გაიფიქრა თაგვმა, იქნება ამით მაინც დავასწრიო თავიო. თქმა და გაკეთება ერთი იყო. საჩქაროდ გამოძვრა კუთხიდან და მოწიწებით უთხრა კატას: ,,სიცოცხლეო“.—გმადლობთ, მიუგო კატამ და გადაულაშა ზრდილობიანი თაგვი.

ბეჭედი და ბამბის ძაფი

(წარმოდგ. ვ. ნ—ს მიერ)

მარილი სქლათ გახსენით წყალში, დაალბეთ შიგ ბამბის ძაფი და შემდეგ კარგად გააშრეთ იგი. ამნაირ ძაფზედ ბეჭედი რომ ჩამოჰკიდოთ და ძაფს ცეცხლი წაუკიდოთ, ძაფი დაიწვის და ბეჭედი არ ჩამოვარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟელატინის ფარნები

ჟელატინი ისყიდება თხელ, გამჭვირვალე, ადვილად მოსაქნელ ფერად ფურცლებად, რომლიდანაც შეიძლება ბევრნაირი ლამაზი სამკაული გაკეთდეს. ნახატი გვიჩვენებს, მაგალითად, სამს სხვა-და-სხვა ნაირს კოლოფს. ერთი ამათგანი ვედროა, მეორე ჭიქა, მესამე დოლი. გვერდები ჟელატინისა აქვთ, ძირი და ხუფი თხელი კარტონისა. გვერდებზედ ოქროს ვარაყი აქვთ შემოვლებული.



ჟელატინის ფურცლიდან გამოსჭრით სასურველის ფორმისა და ზომის ნაჭერსა და ნაჰირებს წებოთი შეაწებებთ. უნდა ეცადნეთ მხოლოდ, რაც შეიძლება სუფთად გააკეთოთ და ნაჰირებს გარდა, სხვაგან არსად მოაცხოთ წებო. თორემ ჭრიალს აღარ დაიწყებს.



თუ მოინდომებთ, რომ ნახატზედ ნაჩვენები ვედრო უფრო დიდი იყოს და ფარნად გამოდგეს, უნდა აიღოთ ისეთი ნაჭერი ჟელატინისა, რომ ზევითა ჰირის სიგანე 8—10

სანტიმეტრი ჰქონდეს. მერე გამოსჭრათ თხელი თუნუქის ვიწრო სალტე, რომელსაც შუა ადგილას გამოშვერილი ყური უნდა ჰქონდეს, ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები, შემოჰქნათ ბეჭედივითა და კვით ფარნის ძირში ჩაურჭოთ. ამნაირად გაკეთდება ლამაზი ფარანი, რომელსაც ძირში სასანთლეც ექმნება.

შეიძლება ქილატინისა უფრო მოზრდილი ფარნებიც გაკეთდეს, მხოლოდ სიმაგრისათვის კარტონის კედლები ან ჩარჩოები უნდა ჰქონდეს, რადგანაც თვითონ ქილატინი თხელია და ადვილად იხნიქება.

პირველს შემთხვევაში, როდესაც მთელი კედლები კარტონისა აქვს, შიგ ვარსკვლავებსა და სხვა-და-სხვა ფიგურებს გამოსჭრიან ხოლმე, რომლის ადგილასაც მერმე შიგნიდან ქილატინის ფერად ფურცლებს აკრავენ წებოთი. მეორე შემთხვევაში-კი მარტო ჩარჩოები კეთდება კარტონისა, რომლებზედაც ისევ ქილატინის ფურცლებს აკრავენ შიგნიდან.

ორსავე შემთხვევაში კარტონს თხელი ფერადი ქაღალდი უნდა გადაეკრას წინადვე.

სახუმარო

— ეი, ბიჭო, ეს რა უშველებელი წაღები ჩამოგიცვია ფეხებზე?

— რა ვქნა, ბატონო, ძალიან მეჩქარება, ბებიასთან მივდივარ, მე ჩქარა ვერ დავდივარ, ძაძა ჩემი კი ძალიან ჩქარა დადის, როცა ეს წაღები აცვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მკითხველის წერილები

პატარა „ნაკადულის“ რედაქციას.

სიამოვნებით ვკითხულობ ნაკადულს. აკაკის გამოცანა №3 ვერ გამოვიცან: მე ტყვია მეგონა, ჩემი მასწავლებელი ამბობს, ორთქლით მატარებელი უნდა იყოსო; აბა ვნახოთ! მე და ჩემ პატარა ძმას გოგის ძალიან გვიყვარს გამოცანები. აი, შარშან რუსულად მე თვითონ მოვიგონე. ეს გამოცანები გადმოგითარგვნეს ასე:

1

ცალფეხაა, სულ მუშაობს,
გამოცანა ადვილია:
თავში ერთი ბეწვი აქვს,
ხან მოკლე და ხან გრძელია,
ვინც ფრთხილად არ მოეკიდოს,
თითებისა ეს მტერია.

2

ცალ ფეხა ვარ, ერთი თმა მაქვს,
მეტისმეტი გრძელია,
ღარიბისა და მდიდრისთვის
უჩემობა ძნელია.

თუ ივარგოს, დაბეჭდეთ. თქვენი პატარა მკითხველი

მარიკა ბ.

გამოცანების ახსნა:

მეხუთე ნომერში მოთავსებული გამოცანა არის **კალამი.**

გამომცემელი **კნ. ნ. ე. ჭობულაშვილისა.**
რედაქტორები { **კნ. ე. ერისთავისა.** **ნ. ზურაბიშვილისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის ერგება?